ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲪᲕᲔᲚᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 287 (20028) ᲙᲕᲘᲠᲐ, 13 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1987 ᲬᲔᲚᲘ. ◆ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐᲞ.

ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

ᲤᲐᲥᲢᲘ ■ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ■ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲠᲣᲑᲠᲘᲙᲐᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲙᲚᲘᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲪᲜᲝᲑᲘᲗ ᲕᲘᲬᲧᲔᲑᲗ.

ᲓᲠᲝᲡ ᲣᲡᲬᲠᲔᲑᲔᲜ

ᲢᲧᲘᲒᲣᲚᲘᲡ ს. ორჯონიკიძის სახელობის შახტის კოლექტივმა ქალაქის საწარმოთა შორის ყველაზე ადრე შეასრულა ხუთწლედის ორი წლის გეგმა. ახლა იგი იმისათვის იღვწის, რომ წლის ბოლომდე დარჩენილ დროში მოანგრიოს და მეტალურგიულ ქარხნებს გეგმის გადაჭარბებით გაუგზავნოს 40 ათასი ტონა სათბობი.

მოწინავე მეშახტეებმა ვ. სვანიძემ, ვ. მესხორაძემ, რ. ცნობილაძემ, დ. კუბლაშვილმა და სხვებმა პირობა დადეს — 31 დეკემბრამდე 4,5 თვით გაუსწრონ კალენდარს.

ᲒᲔᲒᲛᲐᲪ, ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲪ ᲓᲣᲨᲔᲚᲓᲐ მხვნელ-მთესველებმა და მეცხოველეობის ფერმების მშრომელებმა ვადაზე ადრე შეასრულეს მარცვლეულის, უფრაქნის, კვერცხის, მატყლის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური გეგმები და ნაკისრი ვალდებულებები.

საკვებმოძპოვებლებმა დაამზადეს და მეცხოველეობის ფერმებთან მიზიდეს 31720 ტონა თივა, ნამჯა, სენაჟი, სხვა უფათიანი საკვები და ყველა პირობა შექმნეს პირუტყვის კარგად გამოზამთრებისათვის.

ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲝᲩᲐᲛᲩᲘᲠᲘᲡ კომბინირებული საკვების ქარხანაში გარდაქმნის პირობებში ეწყობა ხარისხის დღეები. მასში მონაწილეობისათვის იწვევენ სასაქონლო მერძევეობის ფერმის წარმომადგენლებსაც, რომლებიც სრული სამეურნეო ანგარიშით მუშაობენ. ისინი მონაწილეობენ საქარხნო პროდუქციის ატესტაციაში, აცხადებენ ხარისხის ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, ახალისებენ წარმოების მოწინავეებს.

ბევრი რამ გაკეთდა საწარმოში მისი ეკონომიკის განმტკიცებისათვის, ტექნოლოგიური და მიწოდების დისციპლინის მკაცრი დაცვისათვის. წლის დამდეგიდან აქ გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 4000 ტონა კომბინირებული საკვები. რესპუბლიკის მონათესავე საწარმოებს შორის საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ქარხნის კოლექტივმა პირველი ადგილი დაიკავა.

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

1987 ᲬᲚᲘᲡ 11 დეკემბერს ბერლინში მორიგებისამებრ გაიმართა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა მოძმე პარტიების ცენტრალური კომიტეტების გენერალურ (პირველ) მდივანთა შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ: ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ე. ჰონეკერი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვ. იარუზელსკი, რუმინეთის კომპარტიის გენერალური მდივანი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი ნ. ჩაუშესკუს სრულუფლებიან წარმომადგენლად — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტმდივნის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ტოტუ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ი. კადარი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტი გ. ჰუსაკი.

შეხვედრაში აგრეთვე მონაწილეობდნენ:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი დ. ჯუროვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაგან — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. შტოფი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ჰ. კესლერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ო. ფიშერი;

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი მ. ოკეხოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ფ. სივიცკი;

რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტმდივნის წევრობის კანდიდატი, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრი ვ. ილია;

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისაგან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი დ. ტ. იაზოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. თ. დობრინინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი;

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისაგან — უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ვარკონი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ფ. კარპატი;

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკისაგან — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ხნოუპეკი, ჩეხოსლოვაკიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. რუსოვი.

შეხვედრაში მონაწილეობდა აგრეთვე ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების გაერთიანების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. გ. კულიკოვი.

მ. ს. გორბაჩოვმა დაწვრილებით გააცნო შეხვედრის მონაწილეებს ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი ვიზიტის, პრეზიდენტ რ. რეიგანთან გამართული ლიმოლაპარაკების მიმდინარეობა და შედეგები.

მოკავშირე სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა მთლიანად დაუჭირეს მხარი და მაღალი შეფასება მისცეს ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების შედეგებს. გადაიდგა ისტორიული მაშტაბის ნაბიჯი, რომელიც უკვე ახდენს სასიკეთო ზემოქმედებას პლანეტის პოლიტიკურ კლიმატზე, ზრდის სახელმწიფოთა ორმხრივ ნდობას. განმტკიცებს იმედს, რომ რეალიზმი და გონიერება გაიმარჯვებს ახლანდელ რთულ, წინააღმდეგობრივ და ამასთანავე ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში.

შეხვედრის მონაწილეებმა უღრმესი მადლობა უძღვნეს მ. ს. გორბაჩოვს იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი ახორციელებს თანმიმდევრულ და ენერგიულ ღონისძიებებს, რომლებსაც პირველი რეალური შედეგები მოჰყვა ბირთვული განიარაღების საქმეში და ახლებური პოლიტიკური აზროვნების ქმედითობის დამადასტურებელი მაგალითი გახდა. ქმაყოფილებით აღინიშნა, რომ ეს არის ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების საერთო მშვიდობისმოყვარული კურსის, სოციალისტური ქვეყნების ინიციატივებისა და მოქმედების გამოხატულება, რომლებიც ნიადაგ იღებენ კონფრონტაციის დონის შესამცირებლად და მსოფლიო საქმეებში ორმხრივ სასარგებლო თანამშრომლობაზე გადასასვლელად. ხაზი გაუსვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის კონსტრუქციულ პოზიციას, რომლებმაც დაადასტურეს, რომ მზად არიან ხელი შეუწყონ ვაშინგტონის ხელშეკრულების დებულებათა შესრულებას, რომლებიც ამ სახელმწიფოებს ეხება.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულება შეეხსაბამება ყველას ინტერესებს, ამაღლებს უშიშროების დონეს ევროპაში, აზიაში და მათს ფარგლებს გარეთ. ხელშეკრულების მიღწევას ხელი შეუწყო მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის, მიუმხრობელი ქვეყნების მოქმედებამ, ომის მოწინააღმდეგეთა მოძრაობების და ყველა კონტინენტის მშვიდობისმოყვარე ძალების გამოსვლებმა.

შეხვედრის მონაწილეთა საერთო აზრით, კარდინალური მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე შემუშავებულია სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრინციპული თანხმობა სანახევროდ შამცირონ ორივე მხარის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების გაუნახლოდ დაცვის პირობით. შესაბამისი შეთანხმების დადება, ეს კი უკვე უახლოეს მომავალშია შესაძლებელი, ძირეული ძვრა იქნებოდა განიარაღების, უბირთვო და უძალადო მსოფლიოს შექმნის საქმეში.

მიღწეული მორიგებანი, აღინიშნა შეხვედრაზე, განამტკიცებენ წინსვლის წანამძღვრებს სხვა მიმართულებებზეც, რომლებსაც მივყავართ გამალებული შეიარაღების შეკვეცისაკენ — უწინარესად, ისეთებზე, როგორიც არის ქიმიური იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია, ბირთვული გამოცდის შეწყვეტა, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირება ევროპაში ატლანტიკიდან ურალამდე. დადასტურდა, რომ მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოები მზად არიან დაიცვან თავდაცვისათვის აუცილებელი საკმარისობის ფარგლები, გადაჭრან იარაღის ცალკეულ სახეობებში ასიმეტრიებისა და დისბალანსების პრობლემა იმ მხარის იარაღის შემცირების გზით, რომელიც წინ აღმოჩნდება. ამასთანავე გამოითქვა შემფოთება იმის გამო, რომ ნატოს გარკვეულ წრეებს განზრახული აქვთ კონტინენტზე ორი კლასის ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია „აინსლაურონ“ სხვა სახეობათა შეიარაღების გაძლიერებისა და მოდერნიზაციის გზით.

შეხვედრის მონაწილეებმა გააცხადეს, რომ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც შემატონ თავიანთი წვლილი მშვიდობის გაჯანმტკიცებას, განიარაღებას, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას, სხვა რთული გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრას. ამ მიზნით ისინი შეეცდებიან იქონიონ მჭიდრო თანამოქმედება ძალებთან, რომლებიც იღვწიან მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის, იმისათვის, რომ სამუდამოდ გამოირიცხოს ომი კაცობრიობის ცხოვრებიდან.

სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შეთანხმებას ინსპექციების შესახებ იმ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადეს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში შეხვედრამ მოკავშირე სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის ტრადიციულ ვითარებაში — ძმური მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფეროში ჩაიარა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲚᲐᲕᲬᲘᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ.
ᲡᲐᲥᲓᲔᲡ-ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი 11 დეკემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა.

გზად მოსკოვისაკენ მ. ს. გორბაჩოვმა მონაწილეობა მიიღო ბერლინში გამართულ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ხელმძღვანელი მოღვაწეების შეხვედრაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ერთად დაბრუნდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი დ. ტ. იაზოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანები ა. თ. დობრინინი და ვ. ა. მედვედევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. კამენცევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე საბჭოთა კავშირის მარშალი ს. თ. ახრომეევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანამშემწე ა. ს. ჩერნიაევი.

ვნუკოვოს აეროდრომზე მ. ს. გორბაჩოვს დაბვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ა. ა. გრომიკო, ვ. ი. ვოროტნიკოვი, ლ. ნ. ზაიკოვი, ი. კ. ლიგაჩოვი, ნ. ი. რიჟკოვი, ნ. ნ. სლიუნკოვი, მ. ს. სოლომენცევი, ვ. მ. ჩებრიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები ბ. ნ. დემიჩევი, ვ. ი. დოლგიხი, ნ. ვ. ტალაზინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ა. ბ. ბირიუკოვი, ა. ი. ლუკიანოვი, დ. ბ. რაზუმოვსკი, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ი. ვ. კაპიტონოვი და სხვა ამხანაგები.

შემხვედრთა შორის იყვნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში მ. კენიგი, დიდი ბრიტანეთის ელჩი სსრ კავშირში ბ. კარტლეჯი, ამერიკის შეერთებული შტატების საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში ჯ. ჯოისი.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡᲛᲐ Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲛᲐ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲐᲬᲧᲝᲗ ᲣᲧᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲝᲜᲔᲡᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲐᲬᲣᲫᲑᲔᲓᲜᲔᲑᲓᲐ.

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲞᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲘ ქალბატონებო და ბატონებო!

ამხანაგებო!

შეიძლება ითქვას, ვიზიტი დასრულდა, დღეს დელეგაცია სამშობლოში მიემგზავრება. ჩვენ კიდევ ბერლინში შევჩერდებით. ვარშავის ხელშეკრულების ხელმძღვანელებს დავუთქვით შევხვედროდით ერთმანეთს, რათა განვიხილოთ ვაშინგტონში ჩემი ვიზიტისა და პრეზიდენტ რეიგანთან, ამერიკის შეერთებული შტატების სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან გამართული მოლაპარაკების შედეგები.

მესმის, — და ეს სავსებით ბუნებრივია, — რომ თქვენ უწინარეს ყოვლისა გაინტერესებთ ჩვენი აზრი, ჩვენი შეფასება ვიზიტისა და მისი შედეგებისა. მე ვფიქრობ, თქვენ გსურთ რაც შეძლება მეტი გაიგოთ. იქნებ ამიტომ შესავალი სიტყვისათვის მეტ დროს ვიყენებ, ვიდრე ჩვეულებრივ.

უწინარეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ ეს უმაღლესი დონის მესამე შეხვედრაა ორწელიწადნახევარში. თავისთავად ეს, მე მგონი, რაღაცას მოწმობს. უწინარეს ყოვლისა — ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციისა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის პოლიტიკური დიალოგის დინამიკას.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამაო არ ყოფილა ეენეგა და ჟენევიეკი, არ ყოფილა ამაო არც სხვა ნაბიჯები როგორც ჩვენი, ისე ამერიკის ადმინისტრაციის მხრივ. ამ მესამე შეხვედრას რომ გარკვეული შედეგები არ მოჰყოლოდა, ვიზიტს დიდ მოგლენთა რიცხვს ვერ მივაკუთვნებდით. ახლა კი შემიძლია დავიწყო მისი, როგორც მსოფლიო პოლიტიკის დიდი მოვლენის, შეფასებით. ჩვენ იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ ახალ, ძალზე მნიშვნელოვან ეტაპს მივაღწიეთ როგორც საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობის, ისე მსოფლიო ურთიერთობის თვალსაზრისით.

ძალზე ბევრი რამ მოხდა მოლაპარაკების დროს. მაგრამ მინდა ვიბოვნო ზუსტი სიტყვები, ავცდე უკიდურესობებს, გადმოგცეთ ვიზიტისა და მოლაპარაკების ხასიათი, ატმოსფერო და, რაღა თქმა უნდა, დავახასიათო მათი პოლიტიკური შედეგები.

რისი თქმა შეიძლება, არსებითად, შედეგების თაობაზე?

პირველი. გაღრმავდა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელების პოლიტიკური დიალოგი. დღეს პრეზიდენტთან ერთად საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ერთობლივი განცხადება მივიღეთ. თვით ეს ფაქტი მოწმობს ჩვენი პოლიტიკური დიალოგის გარკვეულ დინამიკას.

დოკუმენტი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოაჩენს გამართული განხილვის დიაპაზონსაც და შინაარსსაც. ამ დოკუმენტის კითხვისას შეგიძლიათ განსაზღვროთ აგრეთვე სხვადასხვა საკითხზე ურთიერთგაგების, მორიგების დონე. ვფიქრობ, იგრძნობთ, რომ იგი დარჩენილ სერიოზულ უთანხმოებასაც ცხადყოფს.

როგორია, ჩვენი თვალსაზრისით, ამ დოკუმენტის დადებითი მხარე?

ჯერ ერთი, მე და პრეზიდენტმა აღვნიშნეთ, რომ სსრ კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობაში ბოლო ხანს მიღწეულია გარკვეული პროგრესი.

მეორე, ჩვენ კიდევ ერთხელ გადავავლეთ თვალი განვლილი წლების მოვლენებს და გამოვთქვით ერთნაირი აზრი, რომ ყველაფერი, რასაც დღეს მივაღწიეთ, ეენევასა და რეიკიავიკს ეფუძნება. სწორედ მათ გახადეს შესაძლებელი სტრატეგიული სტაბილურობის გასაუმჯობესებლად და კონფლიქტების წარმოქმნის საშიშროების შესამცირებლად გამიზნული ნაბიჯები.

ჩვენ კიდევ ერთხელ — მინდა ამას თქვენი ყურადღება მივაპყრო — ჩავთვალეთ საჭიროდ ვაშინგტონში ამ შეხვედრის დროს კვლავ დაგვედასტურებინა ახალი ძალით ეენევის საზეიმო დეკლარაცია იმის შესახებ, რომ ბირთვული ომი არასოდეს არ უნდა მოხდეს, რომ მას ვერავინ მოიგებს, რომ აღსავსენი ვართ მტკიცე გადაწყვეტილებით თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი ომი — ბირთვული თუ ჩვეულებრივი — ჩვენს ქვეყნებს შორის, რომ არ ვეცდებით სამხედრო უპირატესობის მიღწევას.

ჩვენ ამას მივიჩნევთ ორი დიდი სახელმწიფოს უკადო ვალდებულებად მთელი მსოფლიო გაერთიანების წინაშე.

მესამე, ხაზგასმულია განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, რომელიც საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს აკისრიათ იმ საქმეში, რომ ეძებონ სამხედრო კონფრონტაციის თავიდან აცილებისა და უფრო უსაფრთხო მსოფლიოს მშენებლობის რეალისტური გზები კაცობრიობისათვის, რომელიც მესამე ათასწლეულის მიჯნას უახლოდება.

მეოთხე, რეალისტურად ვაფასებთ რა დარჩენილ უთანხმოებას — ზოგიერთ პუნქტში, მე ვიტყოდი, ძალიან სერიოზულს— ჩვენ არ მივიჩნევთ მას დაუძლევლად. პირიქით, იგი გვაიძულებს კიდევ უფრო აქტიურად ვაწარმოოთ დიალოგი.

ჩვენი ერთობლივი განცხადების ამ **კონცეფციალური ნაწილის** შეჯამებისას, შემიძლია ვთქვა: ჩვენი ორი სახელმწიფოს უმაღლეს დონეზე აღიარებულია, რომ ახლა ისინი გაჭიანურებული კონფრონტაციის დაძლევის ეტაპზე იმყოფებიან და მზად არიან მოიტოვონ იგი უკან.

დამეთანხმებით, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგი და დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური კონსტატაციაა, რომელსაც ერთობლივი დოკუმენტი შეიცავს, სწორედ ეს გახლავთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ახალ ეტაპზე გადასვლის არსი.

მეორე. ვიზიტის დროს **დასრულდა მრავალი წლის მუშაობა** გლობალური საფუძველზე **საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის ხელშეკრულების მოსამზადებლად.** მე და პრეზიდენტმა, როგორც იცით, ხელი მოვაწერეთ შეთანხმებას ამ საკითხზე.

მე უკვე მომიხდია მელაპარაკებრთველი იარაღის ლიკვიდაციის გზაზე გადადგმული ამ პირველი ნაბიჯის მნიშვნელობის შესახებ. ახლა, როცა ეს აღსრულდა, როცა დოკუმენტს ხელი მოეწერეთ ჩვენი ორი ქვეყნის ხალხების სახელით, შეგვიძლია ვილაპარაკოთ უფრო მეტზე — მე აქ ასეთ ტერმინსაც კი ვიხმარდი — მოვლენის ისტორიულ მასშტაბზე, ერთობლივი კონსტრუქციული მეცადინეობის დიდ შეიძლებელი, ძირეული ძვრა იქნებოდა განიარაღების, უბირთვო და უძალადო მსოფლიოს შექმნის საქმეში.

მიღწეული მორიგებანი, აღინიშნა შეხვედრაზე, განამტკიცებენ წინსვლის წანამძღვრებს სხვა მიმართულებებზეც, რომლებსაც მივყავართ გამალებული შეიარაღების შეკვეცისაკენ — უწინარესად, ისეთებზე, როგორიც არის ქიმიური იარაღის აკრძალვა და ლიკვიდაცია, ბირთვული გამოცდის შეწყვეტა, შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირება ევროპაში ატლანტიკიდან ურალამდე. დადასტურდა, რომ მოკავშირე სოციალისტური სახელმწიფოები მზად არიან დაიცვან თავდაცვისათვის აუცილებელი საკმარისობის ფარგლები, გადაჭრან იარაღის ცალკეულ სახეობებში ასიმეტრიებისა და დისბალანსების პრობლემა იმ მხარის იარაღის შემცირების გზით, რომელიც წინ აღმოჩნდება. ამასთანავე გამოითქვა შემფოთება იმის გამო, რომ ნატოს გარკვეულ წრეებს განზრახული აქვთ კონტინენტზე ორი კლასის ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია „აინსლაურონ“ სხვა სახეობათა შეიარაღების გაძლიერებისა და მოდერნიზაციის გზით.

შეხვედრის მონაწილეებმა გააცხადეს, რომ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს გადაწყვეტილი აქვთ კვლავაც შემატონ თავიანთი წვლილი მშვიდობის გაჯანმტკიცებას, განიარაღებას, საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის შექმნას, სხვა რთული გლობალური და რეგიონალური პრობლემების გადაჭრას. ამ მიზნით ისინი შეეცდებიან იქონიონ მჭიდრო თანამოქმედება ძალებთან, რომლებიც იღვწიან მშვიდობის შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის, იმისათვის, რომ სამუდამოდ გამოირიცხოს ომი კაცობრიობის ცხოვრებიდან.

სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შეთანხმებას ინსპექციების შესახებ იმ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დადეს საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

საქმე ეხება იმას, რომ სანახევროდ შევამციროთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღება. ეს რთულია. ორივე მხარემ გამოიტანა დასკვნა, რომ აქაც უნდა მიეაღწიოთ სერიოზულ წინსვლას ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც მოლაპარაკების წინა ეტაპზე შევიძინეთ, მათ შორის საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ხელშეკრულების მომზადების დროს. ეს საქმე არ უნდა გადავდოთ, სანამ ჯერ კიდევ არის გამალებული შეიარაღების, სტრატეგიული პოტენციალის გაძლიერების შეჩერებისა და მისი ლიკვიდაციის დაწყების რეალური შესაძლებლობა.

ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი შ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენციიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

რეკომენდაციები. მე შევთავაზე შევქმნათ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეცნიერთა ერთობლივი კომისია, რომელიც თავის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს გააცნობდა ამერიკის ადმინისტრაციასაც და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობასაც.

მაგრამ, მოდით, მოლაპარაკების შედეგებს დავუბრუნდეთ. დეტალურად არის დამუშავებული კონტროლის საკითხები. წინათ მათ გადასაწყვეტად დიდი ჯაფა გვადგებოდა. ამ დარგში ურთიერთგაგება შედეგად მოჰყვა წარმატებულ მუშაობას, რომელიც საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების ხელშეკრულების მომზადებისას გაგწიეთ.

დადგენილია **6000 ერთეული საბრძოლო** მუხტის ერთობლივი დონის ფარგლებში საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტებისა და წყალქვეშა ნავების ბალისტიკური რაკეტების ქობინების კრებსითი რაოდენობის ზღვრული დონეები **4900 ერთეულის** ოდენობით. როგორ ხედავთ, ეს ახალი ამბავია, და ფრიად არსებითიც.

მე და პრეზიდენტმა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულების მზადების გათვალისწინებით დავავალეთ ყენევაში წარგზავნილ დელეგაციებს შეიმუშაონ მორიგება, რომელიც დაავალებდა როგორც საბჭოთა, ისე ამერიკის მხარეებს დაეცვათ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულება იმ სახით, როგორსაც მოვაწერეთ ხელი 1972 წელს. მათ შორის კვლევის საშუშაოებისა და საჭიროებისამებრ —გამოცდების განხორციელების პროცესშიც, რომლებიც ნებადართულია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებით. და არ გამოვიდეთ ამ ხელშეკრულებიდან ვადის განმავლობაში. მე წაგიკითხეთ სათანადო ადგილი ერთობლივი განცხადებიდან.

ჩვენ, შევთანხმდით, რომ განვაგრძობთ სტრატეგიული სტაბილურობის საკითხთა ინტენსიურ განხილვას.

განსაზღვრულია აგრეთვე, რომ, თუ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოუსვლელობის დათქმული ვადის დამთავრების მომენტისათვის ვერ მორიგდებიან, მაშინ ყოველ მხარეს ექნება უფლება თავად განსაზღვროს, თუ როგორ იმოქმედოს.

როგორც ხედავთ, **ჩვენ მნიშვნელოვნად დავწინაურდით ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების პრობლემის გადაწყვეტის გზაზე, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე რთულია.**

მაგრამ იმისათვის, რომ რამდენიმე თვის შემდეგ მზად გვქონდეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების ხელშეკრულება, დიდი მუშაობა უნდა გასწიონ ყენევაში წარგზავნილმა დელეგაციებმა, და არა მარტო დელეგაციებმა. უნდა გაისარჯოს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა.

მეთოხე. მას შემდეგ, რაც რეალურად გავედით საშუალო და ნაკლები სიშორის რაკეტების მოსპობის პოზიციებზე და ხელი მოგკიდეთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების პრობლემებს, უფრო რელიეფურად გამოიკვეთა **ჩვეულებრივი შეიარაღებისა და ქიმიური იარაღის** საკითხები.

შეიძლება ითქვას, რომ ისინი გამწვავდა და წინა პლანზე გადმოვიდა. ჩვენ არ ვაპირებთ სიტუაციის დრამატიზებას და ვგმობთ ამ თემაზე სპეკულირების ცდებს. ვისურვებდი, რომ ეს შენიშვნა დაგხსომებოდეთ, ეგებ, ღირდეს მოვიფიქროთ იგი.

ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხებთან დაკავშირებით მართლაც არის რეალური შეშფოთება. ისინი გვაფიქრებს ჩვენც და დასავლეთევროპელებსაც. ამიტომ ახლა განზრახული გვაქვს უაღრესად სერიოზული ყურადღება დაუთმოთ ამ სახეობათა შეიარაღებას. ჩვენ კარგი გამოცდილება შეგვძინა საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ხელშეკრულების მზადებამ. დამსწრეთ ალბათ ახსოვთ, რა პერიპეტიების გადატანა მოგვიხდა მისი მომზადების დროს. გაიხსენეთ საფრანგეთისა და ინგლისის ბირთვული პოტენციალის საკითხი, ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების, აზიის რეგიონში განლაგებული რაკეტების საკითხი და ა. შ.

და მაინც, იმის სურვილმა, რომ ანგარიში გაგვეწია ერთმანეთისთვის, ხელშეკრულების დადებამდე მოგვიყანა. აქედან გამომდინარეობს უბრალო დასკვნა: ჩვენ ასევე უნდა ვიმოქმედოთ ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხშიც.

გავერკვეთ სერიოზულ საკითხებში, დავქლიოთ რეალურად არსებული შეშფოთება. მაგალითად, დასავლეთი აცხადებს, რომ ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებს აქვთ უპირატესობა, ხოლო აღმოსავლეთი ამბობს, ნატოსა და დასავლეთევროპელებს უპირატესობა აქვთო.

უნდა ვთქვა, რომ თავისებურად ორივენი მართალი არიან, რადგან რეალურ მონაცემებს ეყარებიან. მაგრამ ეს მონაცემები მხოლოდ ერთ რამეს ადასტურებს: არის ასიმეტრია და დისბალანსი, რომლებიც შეიარაღებული ძალების შშენებლობის ისტორიულ თავისებურებათა შედეგად ჩამოყალიბდა.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ უნდა დავიწყოთ ვენაში მიმდინარე კონფერენციის მანდატის შესაბამისად მორიგებათა შემუშავებით. უნდა მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას და ვეძებოთ პრობლემათა გადაჭრის გზები. მოლაპარაკებას მაშინ აქვს აზრი, თუ საქმე შეეხება ორმხრივ და ერთდროულ შემცირებას, დისბალანსებისა და ასიმეტრიის აღმოფხვრას. ამ შემთხვევაში გამოსავალს ყოველთვის ვიპოვით. მაგალითად, აცხადებენ, რომ ვარშავის ხელშეკრულებას უპირატესობა აქვს ცენტრალურ ევროპაში. მაგრამ იმათ, ვინც ამას ამბობს, რატომღაც ავიწყდებათ, რომ ნატოს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს ევროპის სამხრეთ ფლანგზე, ჩვენს საზღვრებთან.

საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ისეთი საკითხებიც, როგორიც არის ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის დერეფნის შექმნა შეზღუდული, უწინარესად შეტევითი ხასიათის შეიარაღებითურთ.

უნდა გავერკვეთ საკმარისობის პრინციპში, და საერთოდ საფუძვლიანად, საქმიანად შევადაროთ სამხედრო დოქტრინები მათს წმინდა თავდაცვითს დოქტრინებად გარდაქმნის თვალსაზრისით.

უნდა დავადასტურო—ამერიკის მხარე სერიოზულად, საქმიანად მოეკიდა ჩვენს წინადადებას, გამოიჩინა ინტერესი, და ჩვენ შევთანხმდით, რომ ამ სამუშაოს ხელს მოვკიდებთ უშუალოდ: კონკრეტულად, ჩვენი სამხედრო უწყებების დონეზე მეცნიერთა და ექსპერტთა მონაწილეობით.

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების საკითხზე მე პრეზიდენტს შევთავაზე აქ, ვაშინგტონში, მივანიჭოთ მათ ახალი პოლიტიკური იმპულსი — იმდაგვარი, რეიკიავიკში რომ მივანიჭეთ ბირთვული განიარაღების პრობლემებს, როდესაც დავინახეთ, რომ ყენევის მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. მაშინ ამან სარგებლობა მოგვიტანა, და ახლა ჩვენ გვაქვს პირველი ხელშეკრულება ბირთვული შეიარაღების ლიკვიდაციის შესახებ.

დღეს ჩვენ შეგვიძლია ასევე მოვიქცეთ ჩვეულებრივი შეიარაღების მიმართაც. მიგვაჩნია, რომ სწორედ ასე უნდა ვიმოქმედოთ: მივუსხდეთ მოლაპარაკების მაგიდას, გადმოვაწყოთ მთელი კარტი და უკუვაგდოთ ყოველგვარი კინკლაობა. სხვათა შორის, ეს გვეხმარება ვხედავდეთ, ვინ ეშმაკობს და ვინ — პატიოსნად უძღვება საქმეს, იმიტომ, რომ ამერიკელებმაც, დასავლეთევროპელებმაც, და ჩვენც, მოკავშირეებმაც — ყველამ კარგად ვიცით არა მარტო რამდენი, არამედ სად რა დგას და ძევს. მე ვფიქრობ, ეს კარგიც არის, რომ ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც და ჩვენც ვიცით ყოველივე. ცოდნა დიდი რამ არის. უნდა გადმოვაწყოთ კარტი მაგიდაზე, გავუზიაროთ ერთმანეთს მთელი მონაცემები, შევაფასოთ ისინი, გამოვავლინოთ იარაღსა და ჯარებში არსებული ასიმეტრია და შევუდგეთ პრობლემების გადაჭრას. ეს არის ჩვენი მიდგომა.

რაც შეგვეხება ჩვენ, პირდაპირ ვიტყვი: ჩვენ მზად ვართ ამ საშუშაოს დაუყოვნებლივ შევუდგეთ, ჩვენ მტკიცედ მოგითხოვთ ამას. ასეთი გახლავთ ჩვენი მოკავშირეების აზრიც. ამ შემთხვევაში ჩვენს საერთო თვალსაზრისს გამოვთქვამ.

მეტსაც გეტყვით: ჩვენ მზად ვართ ყველაზე კარდინალური შემცირებებისათვის. ჩვენ აქაც ვცდილობთ რეალისტები ვიყოთ. ეტყობა, ეს არის პროცესი, რომელსაც თავისი ეტაპები ექნება. ერთბაშად ვერაფერს ვერ გადაწყვეტ. მაგრამ იგი უნდა დაიწყო იმით, რომ მიუჯდე მოლაპარაკების მაგიდას და შეუდგე ასიმეტრიისა და დისბალანსის ლიკვიდაციის საკითხთა შესწავლას, რათა კარდინალურად შეამცირო კონფრონტაცია. ეს მნიშვნელოვანი ძიღწევა იქნებოდა, და შეიძლება გაეთდეს კიდეც უახლოეს ხანს.

სხვაგვარად რომ ვთქვა, საჭიროა ყურადღებით, საქმიანად მოვეკიდოთ მხარეების შეშფოთებას ჩვეულებრივი შეიარაღების საკითხებში.

პრეზიდენტთან მოლაპარაკებისას ჩვენ ამავე სიბრტყეში დავაყენეთ ქიმიური შეიარაღების საკითხი. მათი განადგურების საჭიროება აშკარაა. ამ პრობლემას დიდი ხანია განვიხილავთ. უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანს მისმა განხილვამ დინამიკა შეიძინა მხარეთა კონსტრუქციული თანამოქმედების წყალობით.

მე საჭიროდ მივიჩნიე მ. ტეტჩერთან შეხვედრისას და აქაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან მოლაპარაკებაზე აღმენიშნა ინგლისის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და ევროპის სხვა ქვეყნების წვლილი მოცემული პრობლემის გადაჭრაში. მე ვიტყოდი, რომ ამან ნაკლები მოგვანიჭა ჩვენც. საბჭოთა კავშირი მოქმედდება კონსტრუქციულად, განსაკუთრებით, ქიმიური იარაღის მარაგის განადგურებისადმი კონტროლის საკითხებში. სხვათა შორის, ერთხელ კიდევ შეგახსენებთ, რომ ჩვენ შევწყვიტეთ ქიმიური იარაღის წარმოება.

პოზიტიური იყო შეერთებული შტატების განცხადებაც. მაგრამ უკანასკნელ ხანს აღმოჩნდა, რომ კონვენციის შემუშავების გზით მოძრაობა ამკარად შენელდა, და ჩვენ ეს პირდაპირ ვუთხარით პრეზიდენტსა და მოლაპარაკების მონაწილეებს ამერიკის მხრივ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი შენელდა ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით. ჩვენ ვიგრძენით, რომ ამერიკის მხარე უარს არ იტყოდა განდგომოდა ქიმიური იარაღის საყოველთაო და სრული აკრძალვის ყენევაში შეთანხმებულ მიზანს და აუკრძალავად დაეტოვებინა მისი ბინარული ტიპები. ამერიკის შეერთებული შტატები მონდომებულია აგრეთვე თუნდაც ასეთი „თეთრლაქებიანი“ კონვენციის ხელმოწერის შემთხვევაში შეზღუდოს კონტროლის ობიექტები მხოლოდ სახელმწიფო ობიექტებით.

რას ნიშნავს ეს? საბჭოთა კავშირისათვის ეს არის ყველაფერი, ხოლო ამერიკისა და დასავლეთ-ევროპისათვის თითქმის არაფერი. აბა, სად არის აქ თანასწორი მიდგომა? აბა, სად არის აქ შეშფოთების გათვალისწინება? აბა, სად არის აქ პარტნიორობა?

შეერთებული შტატების ადმინისტრაცია, ყოველი დასავლეთ-ევროპისათვის, მოლაპარაკების ყველა მონაწილე უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ ყველაზე მკაცრი, ყველაზე ქმედითი კონტროლის თავგამოდებული მომხრენი ვიქნებით. ხოლო თუკი დაიწყება მხოლოდ ლაპარაკი კონტროლზე, და ამ ლაპარაკს ამოფარებულნი განგრძობენ გამალებულ შეიარაღებას, მაშინ რაღა აზრი აქვს კონტროლს? საერთოდ, ჩვენ მომხრენი ვართ ყოველგვარი, ყველაზე მკაცრი კონტროლისა, როდესაც ეს არის განიარაღებისადმი, შეიარაღების გაზღვრებისადმი კონტროლი და როცა იცავენ და ახორციელებენ ნაცვალგების პრინციპს.

ეს მით უფრო საჭიროა ახლა, როდესაც ვუახლოვდებით სტრატეგიულ შეტევითს შეიარაღებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას, როდესაც უშუალოდ მივადექით ქიმიური იარაღის ლიკვიდაციის პრობლემას. თანაც, ჩვენ უკვე გვაქვს გამოცდილება და ახლა უფრო მტკიცედ ვგრძნობთ თავს.

მე და პრეზიდენტმა ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი აგრეთვე სხვა საკითხების: რეგიონალური და ჰუმანიტარული საკითხების ფართო სპექტრის გამო. რეგიონალური პრობლემების განხილვა არ იყო იოლი საქმე. ჩვენ იქ ჩამოვედით სერიოზული ზრახვებით, იმ წინადადებებით, რომ ნამდვილად მოვრიგებულიყავით ყველაზე მწვავე საკითხებზე. ჩვენ ყურადღება მივაპყარით იმას, რომ საჭიროა მოვიფიქროთ ერთობლივი მიდგომა რეგიონალური კონფლიქტების გადაწყვეტისადმი ასეთი თვალსაზრისით: ჩვენ ახლა მომსწრენი ვართ მსოფლიო გაერთიანების უცილობელი მისწრაფებისა — გადაწყვეტოს არსებული რეგიონული კონფლიქტები პოლიტიკური საშუალებებით. ამას ნთლად გამოხატავს სხვადასხვა პოლიტიკური წრეების, მთავრობების რეაქცია, მსოფლიო საზოგადოებრიობის გამოსვლები.

აშკარაა აი ასეთი მოვლენა.

ეს აძლევს შანსს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს — ორ ქვეყანას, რომლებზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული, — რაღაც რეალური მოიმოქმედონ მსოფლიო პოლიტიკის ამ საჭირბოროტო პრობლემების გადასაჭრელად.

ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ დიდად დაეწინაურებულიყავით. და მაინც, მეც და დელეგაციის წევრებსაც ისეთი გრძნობა გვეუფლება, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ახლა რამდენადმე უფრო რეალისტურად უდგება რეგიონულ პრობლემებს. დიახ, აქ ახლებური მიდგომა გვმართებს. და უმთავრესი ის არის ,რომ ჩვენც, ამერიკელებიც, სხვა ქვეყნებიც ამასთან უდავოდ უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რომ ყველა ხალხს აქვს არჩევანის უფლება. ეს საკვანძო, ამოსავალი პუნქტია.

რეგიონალურ გადაწყვეტებს ვერ მოეწყვეტეთ ვერც ადამიანის უფლებებსა და ჰუმანიტარულ საკითხებს. რა შეიძლება იდგეს იმ უფლებაზე უფრო მაღლა, ვიდრე უშიშროების, სიცოცხლის უფლებაა, შენი ეროვნული საქმეების შენი შეხედულებისამებრ, შენი არჩევანისამებრ მოგვარების უფლებაა! რა შეიძლება იყოს დემოკრატიული ფორმებისა და პროცესებისათვის ქვეყნის სამედო უშიშროებაზე უფრო ხელშეწყობი!

ამრიგად, ყველა ეს საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს. სწორედ ამ პოზიციებიდან ვუდგებით ავღანეთის მდგომარეობას. ჩვენ ვესწრაფვით მოწესრიგებას, რომელიც შესაძლებელს გახდიდა შეწყვეტს შინაური სისხლისმღვრელი კონფლიქტი, თავიდან იქნეს აცილებული მისი რეციდივების შესაძლებლობა, წარმოიშვას პოლიტიკური მოწესრიგების რეალურ პროცესში ისეთი სიტუაცია, რომელიც სერიოზულ შიდეგებს მოიტანდა მსოფლიო გაერთიანების ინტერესების სასიკეთოდ.

ჩვენ პირდაპირ ვთქვით: არ გვინდა და არ ვლამობთ, რომ ავღანეთში პროსაბჭოური რეჟიმი იყოს. მაგრამ ამერიკის მხარემაც ზუსტად ასევე გადაჭრით უნდა თქვას, რომ არც თვითონ არ ესწრაფვის ავღანეთში პროამერიკული რეჟიმის დამყარებას. ავღანეთში — თავისუფალ, მუუმბრობელ, ნეიტრალურ ავღანეთში უნდა შეიქმნას მთავრობა შერიგების, პოლიტიკურ რეალობათა ანალიზისა და გათვალისწინების, თანამშრომლის საფუძველზე, სხვადასხვა ძალების კოალიციისა და ეროვნული შერიგების საფუძველზე. და ჩვენ — ორივე ქვეყანას — აქ ბევრი რამ შეგვძლია გავაკეთოთ.

ჩვენ ასე დავაყენეთ ავღანეთის საკითხი: პოლიტიკური გადაწყვეტილება ჯარების გამოყვანის შესახებ მიღებულია, ვადა დასახელებულია — 12 თვე, იგი შეიძლება უფრო ნაკლებიც იყოს. ეს არის მეოთხე პუნქტი, რომელიც კორდოვესის კომისიის მიერ შეთანხმებას მოელის. ჩვენ ასე გვესმის საკითხი: ჯარების გამოყვანის დაწყების ვადა იმავდროულად უნდა გახდეს დუშმანებისათვის იარაღით და ფინანსებით დახმარების შეწყვეტის დასაწყისიც. პირველი თვე დღიდან, როგორც კი ამას გამოვაცხადებთ, ვიწყებთ ჩვენი ჯარების გამოყვანას. ისინი არ მონაწილეობენ საომარ ოპერაციებში თავდაცვის შემთხვევების გარდა. წყდება საომარი მოქმედება. და მიმდინარობს პოლიტიკური მოწესრიგების პროცესი, რომელსაც შეგვიძლია ჩვენი გავლენით შევუწყოთ ხელი. მაგრამ მთავარი სიტყვა უნდა თქვან თვით ავღანეთის, ყველა მხარის რეალურმა ძალებმა.

ვფიქრობ, ყოველივე აქედან შეიძლება მიგიღოთ რეალური დოკუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს პოლიტიკური მოწესრიგების პროცესს. ჩვენ შევთანხმდით განვავრძოთ მუშაობა ამ მიმართულებით.

ვაშინგტონის მოლაპარაკებაზე შევეხეთ აგრეთვე ცენტრალური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთ აფრიკის რეგიონალურ კონფლიქტებს, სპარსეთის ყურეში შექმნილ მდგომარეობას და ა. შ.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივი ურთიერთობის შესახებ. საბჭოთა პოზიცია ასეთი იყო: სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ეკონომიკური, ინტელექტუალური და საბჭედრო პოტენციალის მქონე მსოფლიო სახელმწიფოები არიან. უზარმაზარია მათი წონა საერთაშორისო საქმეებში. ეს განსაზღვრავს მათს როლს, ეს განსაზღვრავს მათს პასუხისმგებლობას.

ბრავალი წლის კონფრონტაციამ და მწვავე მეტოქეობამ ვნების გარდა არაფერი მოგვიტანა. ჩვენ უკვე საკმარისად დავიმტკიცეთ, რომ შეგვიძლია ვიცხოვროთ უერთმანეთოდ: არ ვივაჭროთ, არ ვიქონიოთ ფართო მეცნიერული და კულტურული კონტაქტები, არ ვითანამშრომლოთ გლობალური პრობლემების გადაჭრაში. მაგრამ აქ იბადება კითხვა: საჭირო იყო კია ამის დამტკიცება: ხომ არ წაადგა ეს სიზიფეს შრომას? ნუთუ ორმა დიადმა ხალხმა, ორმა მსოფლიო სახელმწიფომ არ უნდა გაიაზროს სიტუაცია, რომელიც თითქმის მთელი ომისშემდგომი წლების მანძილზე მწვავე მეტოქეობის შედეგად შეიქმნა. დროა გავიცნობიეროთ ყოველივე ეს, და მე ვუთხარი პრეზიდენტსა და მის კოლეგებს: როგორ გგონია, ხომ არ ჩამორჩნენ-მეთქი პოლიტიკოსები ხალხთა განწყობილებას? ჩვენს ქვეყანაში არსებული განწყობილების მიხედვით, ამერიკელი ერის განწყობილების მიხედვითაც ვატყობთ: ისინი სასიკეთო ცვლილებების მომხრენი არიან. ისინი უკვე თავად იწყებენ მოქმედებას, ამყარებენ კონტაქტებს, ეძებენ ურთიერთობის სხვადასხვაგვარ ფორმებსა და ხერხებს, იჩენენ, მართლაც რომ, განსაცარ საზრიანობას, ბავშვებით დაწყებული და ყველაზე დაბრძენებული ადამიანებით დამთავრებული. ყველას ესმის, რომ დროა გადაეშალოთ კონფრონტაციის უკანასკნელი ფურცელი და შეუდგეთ ახალ ეტაპს.

ვფიქრობ, ეს ძალზე ძლიერი იმპერატივებია, და ისინი უნდა აისახოს ჩვენი მთავრობების პოლიტიკაში. მერწმუნეთო, ამის თაობაზე საბჭოთა ხელმძღვანელობას არა აქვს ორი აზრი. მიღებულია მტკიცე გადაწყვეტილება, რომელზეც დღეს მოგახსენებთ, — ჩვენ ამის მომხრენი ვართ, რომ გადაჭრით გაუმჯობესდეს ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ეს სჭირდებათ ჩვენს ხალხებს. ეს სჭირდება მთელ მსოფლიოს.

მე შევახსენე პრეზიდენტს, რომ მსოფლიო უკვე იუმორითა და დაცინვით უყურებს იმას, თუ როგორ წარიმართება ჩვენი ურთიერთობა. ამის თაობაზე მრავალ იყო სხვადასხვა გამონათქვამები იმის შესახებ, რომ ყოველგვარ პრობლემას ჩვენ ზეჩამოშვებულნი, ჯიქურ ვუტევენ. აქ აშკარად შევმცდარვართ გზის არჩევაში. მე ვფიქრობ, თუ დროზე არ გავჩერდით, შეიძლება შორს შევტოპოთ.

მე შგონია, რომ ის, რაც მოლაპარაკებაზე იყო, და ის, რაც ჯაროდ ვთქვით მე და პრეზიდენტმა, თქვეს სხვა პოლიტიკურმა ფლიქტები პოლიტიკური საშუალებებით. ამას ნთლად გამოხატავს სხვადასხვა პოლიტიკური წრეების, მთავრობების რეაქცია, მსოფლიო საზოგადოებრიობის გამოსვლები.

ეს ის ეტაპია, რომელიც ეკონომიკური, ინტელექტუალური და ეროვნული ინტერესიდან მომდინარეობს. ეს ეტაპი ეხება ეროვნულ ეკონომიკურ სისტემებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინტერესებს, ეროვნულ ეკონომიკურ ინტერეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პრესკონფერენცია

(დასასრული)

კითხვა: ზოგიერთი თქვენი კოლეგის მხრივ თქვენს ჩამოსვლამდე იყო გარკვეული ქარაგმული მინიშნებები იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ერთგვარი პროგრესი შეტევითი შეიარაღების სფეროში და ამასთან დაკავშირებით არ მოითხოვთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმების სავალდებულო დაცვას, რომ შეიძლება მიღწეულ იქნეს რაღაც კომპრომისი სტრატეგიულ თავდაცვის თაობაზე. მაგრამ ახლა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენ კვლავ უკავშირები ერთმანეთს ამ ამბებს. ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ამ დაკავშირებას დაკონკრეტებით მოითხოვდით მოლაპარაკების დროს. ხედავთ თუ არა რაიმე შესაძლებლობას მოილაპარაკოთ პრეზიდენტის ვიზიტამდე იმის შესახებ, რომ დადოთ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ხელშეკრულება მანამდე რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების დაუდებლად, თუ ეს მუდმივი კავშირია?

პასუხი: ჩვენი პოზიცია ჩემს შესავალ სიტყვაშია ჩამოყალიბებული. ჩვენ საფუძვლიანად ვიმუშავებთ იმაზე, რომ პრეზიდენტის ვიზიტი საბჭოთა კავშირში ხელშეკრულების დადებით დამთავრდეს. ვიმოქმედებთ კონსტრუქციულად, იმ პრინციპებით, რომლებიც შეთანხმებული და გამოქვეყნებულია შემაჯამებელ დოკუმენტში.

კითხვა: ამას წინათ წამოაყენეთ წინადადება ჩრდილოეთის რაიონებში შეიარაღებული ძალების, კერძოდ სამხედრო-საზღვაო ძალების შემცირების თაობაზე. მაგრამ შემდეგ ეს წინადადებები რაღაც მაინცდამაინც აღარ გიხსენებიათ, თუმცა ეს ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულების ურთიერთობის ნაწილია. ეს წინადადება კვლავინდებურად ძალაშია, როგორია მისი ბედი, შევა თუ არა იგი აღმოსავლეთისა და დასავლეთის შემდგომ მოლაპარაკებაში?

პასუხი: იმ პირობებში, როცა ბირთვული განიარაღების გზას დავადექით და ჩვეულებრივი შეიარაღების პრობლემის მოგვარებას ვაპირებთ, იმე არ უნდა მოხდეს, რომ საკითხების ერთი წყების გადაწყვეტისას სულ უფრო მეტ პრობლემას ვახვევდეთ სხვა სფეროებში. ევროპიდან, აზიიდან გლობალურ საფუძველზე ბირთვული იარაღის გატანისას — მხედველობაში მაქვს საშუალო და ნაკლები სიმორის კლასის რაკეტები — უცბად დაიწყებოდა „კომპენსაციები“—სხვა სეგიონებში შეიარაღებული კონფრონტაციის გაძლიერების მიზნით.

ვფიქრობ, ეს არ არის მართლზომიერი, და ამიტომ ჩვენი წინადადება ჩრდილოეთის რაიონში სამხედრო საქმიანობის შემცირების შესახებ კონსტრუქციულია და სამხედრო კონფრონტაციის შემცირების საერთო იდეას ითვალისწინებს. იგი კვლავ ძალაშია.

კითხვა: დიეგო კორდოვესმა, რომელიც თქვენ ახსენეთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შუამავლმა ავღანეთის საკითხებში, წამოაყენა წინადადება, რომ ინვაზიაში ან თებერვალში დაიწყოს მოლაპარაკების ახალი რაუნდი, რათა შესაძლებელი გახდეს ავღანეთში არსებული პოლიტიკური ვითარების მოწესრიგება და ამ ქვეყანაში ისეთი დროებითი მთავრობის შექმნა, რომელშიც შეავიდოდნენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია, აგრეთვე მუჯაჰედინების, ანუ როგორც თქვენ ეძახით, დუშმანების შვიდი ჯგუფი, აგრეთვე ავღანელ უხუცესთა ჯგუფი, შესაძლოა, ყოფილი მეფის მუთაურობით. მხარს უჭერთ თუ არა ავღანეთში დროებითი მთავრობის შესაქმნელად გამიზნულ ამ მეცადინეობას? თუ ასეთი მეცადინეობა წარმატებით დაგვირგვინდა გაისად ზაფხულამდე და შეერთებული შტატები მზად იქნა მუჯაჰედინების ჯგუფებისათვის იარაღის მიწოდების შესამცირებლად, მზად იქნებით თქვენ ამ დროს, კერძოდ მომავალი წლის ზაფხულში, დაიწყოთ ავღანეთიდან ჯარების გაყვანა?

პასუხი: მე მგონი, დაწვრილებით ჩამოვაყალიბე ჩვენი მიდგომა. მაგრამ, რაკი კითხვა იბადება, გეტყვით: ჩვენ მივესალმებით იმას, თუ იანვარ-თებერვალში ახალი შეხვედრა მოეწყობა, და, ჩვენი მხრივ, მზად ვართ ხელი შევაწეროთ ამას. ვფიქრობ, თუ ერთად გადაწყდა ორი საკითხი — დანარჩენები უკვე გადაწყვეტილია — ჯარების გაყვანისა და იარაღით თუ დაფინანსებით დახმარების შეწყვეტის საკითხი, პოზიტიური შედეგის მიღწევას უახლოეს თვეში შეეძლებთ. მე და პრეზიდენტმა დავთქვით გაგაგრძოთ კონსულტაციები და ამის თაობაზე მხარეთა პოზიციის უფრო დეტალური შესწავლა.

კითხვა: მინდა გკითხოთ, რომელ დარგში გესახებით საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ნაყოფიერი დიალოგი ყველაზე უფრო პერსპექტიულად უახლოეს ხანს?

პასუხი: მოდით, ნუ ვიმკითხავებთ. და მაინც, ვფიქრობ, ვიზიტის დროს შექმნილ წანამძღვრებს, თუ თანამიმდევრულად ვიმოქმედებთ და თავშეკავებას გამოვიჩენთ, სერიოზული ცვლილებები შეიძლება მოსკეს მრავალი მიმართულებით, და უწინარეს ყოვლისა განიარაღების სფეროში.

კითხვა: რამდენად გაქვთ თქვენ და ამერიკელებს თანხმობა თუ უთანხმოება სპარსეთის ყურეში არსებული მდგომარეობის მიმართ? თქვენ ხომ ბრალად გდებენ, რომ ცდილობთ რაც შეიძლება უკეთესი პოზიცია გიანდოთ და რომ ირანს ეხმარებით? და კიდევ ერთი კითხვა ახლო აღმოსავლეთის კონფერენციის შესახებ. როგორც ჩანს, ეს არცთუ ისე პრიორიტეტული საქმეა თქვენთვის?

პასუხი: მეორე კითხვით დავიწყებ. პრეზიდენტს ვთხოვე კიდევ ერთხელ გაეაზრებინა შეერთებული შტატების ადმინისტრაციის დამოკიდებულება ახლო აღმოსავლეთისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მომზადებისა და მოწყობისადმი, ვიანდან, მე მგონი, მსოფლიოში ფართო თანხმობაა მისი მოწყობის მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის თაობაზე.

მე მომეჩვენა, რომ საუბარი ამ თემაზე გაგრძელდება, რადგან კონფერენციის სამზადისი შეერთებული შტატების ადმინისტრაციას არ უნდა აშფოთებდეს. ამ პროცესის ფარგლებში შეიძლება იყოს როგორც ორმხრივი, ისე სამმხრივი ან რეგიონალური შეხვედრები. ისე რომ, კონფერენციის ასეთი ფორმატი, მე მგონი, შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებული იყოს განსხვავებული თვალსაზრისები, რომლებიც ამის თაობაზე გამოთქვა ბევრმა მთავრობამ, ვფიქრობ, აქ შესაძლებელია პროგრესი.

პირველ კითხვას რაც შეეხება, დიახ, ჩვენ ბრალად გვდებენენ, რომ გვინდა კარგად გამოვიყურებოდეთ და თითქოს ისე ვმოქმედებთ, რომ ამერიკელები ცუდად გამოიყურებოდნენ. მე ვერ დავეთანხმები საკითხის ასე დაყენებას. ესა თუ ის მხარე ისე თუ ისე გამოიყურება იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედებს თვითონ, და არა იმის გამო, თუ როგორ ახასიათებს ვიღაც მის მოქმედებას. თქვენ გაკვთ შესაძლებლობა თვალი ადევნოთ იმას, როგორ ვმოქმედებთ ჩვენ, როგორ მოქმედებენ ამერიკელები და სხვები, და იქონიონ საკუთარი აზრი ამის შესახებ.

ჩვენი აზრით, დიდ სახელმწიფოებს, უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ იმისათვის, რომ ამ რეგიონში არ წარმოიქმნას ისეთი სიტუაცია, რომელსაც დიდი ხანძარი მოჰყვება. და ჩვენ სულ, ყველა ეტაპზე ჯერ კიდევ 598-ე რეზოლუციის მიღებამდე და ახლაც ვამბობთ: უნდა ვიმოქმედოთ ისე, რომ კონფლიქტის მონაწილეებმა იგრძნონ, რას სთხოვენ მათ, და მიეცეთ მათ შესაძლებლობა, შეიგნონ სიტუაციის გამწვავების დაუშვებლობა. და, როგორც ჩვენ გვეჩვენება, ჯერ კიდევ არ ამოგვიწურავს ამ რეზოლუციის შესაძლებლობები.

ამ შენიშვნას დავჯერდები, ვიანდან ჩვენ უფრო კონკრეტული საუბარი გვქონდა, მაგრამ იგი არ დაგვისრულებია, გადავწყვიტეთ გაგვგრძო, რათა შეგასრულოთ ორი ქვეყნის პასუხსაგები როლი სპარსეთის ყურეში არსებული მდგომარეობის განგრძობადობა. ეს ერთ-ერთი ამ ადგილებიანი ადგილია, სადაც ძალზე სერიოზული, ღრმა, ისტორიული მასშტაბის ცვლილებები ხდება. მე მგონი, იმაზე, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ამ კონტინენტზე და მასთან ერთად აზიაში, დიდად იმაზე დამოკიდებული მსოფლიო პოლიტიკის მიმდინარეობაც. ამიტომ ლათინური ამერიკის ქვეყნებში მიმდინარე დინამიკური და მკვეთრი ცვლილებები, ჩემი აზრით, ყოველ პოლიტიკოსს, რომელსაც რეალობის ცოდნა სურს, აიძულებს ჩავიდეს იქ, რათა ჰქონდეს თავისი დაკვირვება, თავისი ანალიზი, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა პოლიტიკური საქმიანობის დროს. აი, ეს არის უმთავრესი მამოძრავებელი მიზეზი. მე მგონი, ლათინურ ამერიკას განვითარების ფართო გზაზე გასვლის დიდი პერსპექტივა აქვს. მაგრამ არც დიდი სიძნელეები აკლია.

კითხვა: როგორ გგონიათ, შეაცვლევინეთ პრეზიდენტ რეიგანს წარმოდგენა საბჭოთა კავშირზე? 6-7 წლის წინ იგი ამბობდა, საბჭოთა კავშირი „ბოროტების იმპერიაა“.

და მეორე. თქვენ თვითონ თუ შეგეცვალათ რამდენადმე მიდგომა წარმოდგენა შეერთებულ შტატებზე ვაშინგტონში გატარებული სამი დღის შედეგად?

პასუხი: ვფიქრობ, ბატონ რეიგანსაც შეეცვალა აზრი, და მეც შემეცვალა იგი უკეთესობისაკენ.

კითხვა: სიამოვნებით შევიტყვეთ, რომ ამ საღამოს ბერლინში გაფრენას აპირებთ. როგორ აფასებთ ვარშავის ხელშეკრულებით მოკავშირეების, გეიმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წევლის ხელშეკრულების შექმნაში, რომელსაც ხელი მოაწერეთ?

პასუხი: არაფერი, რაც კი ამ წლებში კონსტრუქციული წამოგაყენეთ, არ გაკეთებულა მოკავშირეთა მონაწილეობის გარეშე. ყველაფერს ერთად ვიაზრებდით, ერთად ვმსჯელობდით, ყველაფერში ვმოქმედებდით ძალიან შეთანხმებულად მუდმივ საფუძველზე და ამიტომ კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ: მადლიერნი ვართ ჩვენი მოკავშირეებისა იმისათვის, რომ დიდი ამაგი დასდეს ამ შეხვედრის მომზადებას, საშუალო და ნაკლები სიმორის რაკეტების ხელშეკრულების მოწერას. დანარჩენს ბერლინში ვიტყვი.

კითხვა: თქვენ და პრეზიდენტ რეიგანს, როგორც ჩანს, ორივეს მიგანნიათ რომ ამ სამ დღეში შესძელით მნიშვნელოვნად შეგეცვალათ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის განვითარების მიმდინარეობა. ისიც გვეჩვენება, რომ უმაღლესი დონის საუბრების ამ სამი დღის მანძილზე თქვენი პირადი ურთიერთობაც შეიცვალა. კონკრეტულად რა შეიცვალა?

პასუხი: ვფიქრობ, მორიგებებს, რომლებსაც ამ სამ დღეში მივაღწიეთ დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის განვითარებისათვის. ოღონდ ერთი პირობით: თუ ჩვენი ვალდებულებების ერთგულნი დავრჩებით. მინდა ამერიკელ ხალხს და ადმინისტრაციას აღვუთქვა, რომ ჩვენ პასუხისმგებლობით ვიმოქმედებთ და ჩვენი მორიგებით ვიხელმძღვანელებთ. მგონია, მე და პრეზიდენტს, ახლა უფრო მეტად გვესმის ერთმანეთის. მეტი გახდა ჩვენს დიალოგში საქმიანობა, კონსტრუქციული მიდგომა, და მე იმის თქმასაც კი გავბედავ, რომ ჩვენ ახლა უფრო მეტად ვენდობით ერთმანეთს.

კითხვა: თეთრ სახლში გამოცილების ცერემონიაზე დღევანდელი გამოსვლის დროს არც თქვენ და არც პრეზიდენტს არ გიხსენებიათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალი ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში. თუ გაიმართება ეს ვიზიტი ან ხომ არ არის იგი დამოკიდებული თქვენი ურთიერთობის შემდგომ პროგრესზე?

პასუხი: უთუოდ გაიმართება, ეს ერთობლივ განცხადებაშიც არის ნათქვამი.

კითხვა: ხომ ვერ გვეტყვით, რამდენად შეიძლება იყოს გარდაქმნის წარმატება დამოკიდებული იმაზე, შეძლებთ თუ ვერა განიარაღების დარგში მორიგებათა მიღწევას.

პასუხი: წარმოდგენა განიარაღებისა და განვითარების კავშირის შესახებ ამ შემთხვევაში გარდაქმნასაც ესაუბეისება.

კითხვა: როგორ გესახებათ ახლა, საშუალო სიმორის რაკეტების თაობაზე ხელშეკრულების შემდეგ, ცენტრალურ ევროპაში ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ღერეფნის არსებობის მნიშვნელობა?

პასუხი: ეს თემა ახლა დიდად აქტუალური ხდება. მე ასე ვიტყოდი: ეს შესანიშნავი ინიციატივაა.

კითხვა: იმსჯელეთ თუ არა ვაშინგტონში გამართული მოლაპარაკების დროს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებიდან გამოუსვლელობის კონკრეტული ვადებისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების ეგრეთ წოდებული განმარტების შესახებ? და ხომ არ ულაპარაკია საბჭოთა ან ამერიკის მხრეს „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ პროგრამის შესახებ?

პასუხი: შეიძლება ასე გიპასუხოთ: ყველაფერზე ვიმსჯელეთ.

კითხვა: თქვენ ბრძანეთ, რომ საბჭოთა კავშირი ასევე მუშაობს სტრატეგიული თავდაცვის დარგში...

მ. ს. გორბაჩოვი: მე ეგ არ მითქვამს.

კითხვის გაგრძელება: რ. რეიგანთან თქვენი შეხვედრების შემდეგ რას დაველოდთ თქვენს ხელშეკრულების მიღწევას. დანარჩენს ბერლინში ვიტყვი.

პასუხი: მე ვთქვი, რომ ჩვენ ვეწევით ფუნდამენტურ კვლევას, რომელიც თავისი ცალკეული მიმართულებებით მოიცავს იმ პრობლემებსაც, რომლებიც ამერიკაში თავდაცვითი ინიციატივის დახასიათებაში შედის. ეს მე ვთქვი, მაგრამ ვთქვი ისიც, რომ ჩვენ „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ მტკიცე მოწინააღმდეგენი ვართ. ჩვენ არ შევქმნით ასეთ სისტემას ჩვენში. ჩვენ მოვუწოდებთ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას იგივე ქნას. მაგრამ თუ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია ყურად არ იღებს ჩვენს აზრს, თუ მთნე მათნე დათანხმდება „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ სისტემის შექმნას, მაშინ მთელ პასუხისმგებლობასაც იკისრებს. მაშინ დაირღვევა სტრატეგიული სტაბილურობა, წარმოიშობა ფამალებული შეიარაღების ახალი სეგიონები, ერიერთი შედეგი ექნება მხოლოდ ეკეე მოლაპარაკებებს. ჩვენ კი შევეცდებით პასუხი ფეძებოთ სხვა, ასიმეტრიულ მიმართულებებით, რომლებიც ასევე, ანდა, შესაძლოა, უფრო მეტჯერ იაფი იყოს. ეი, რა ვთქვი მე.

კითხვა: მოსკოვში ამასწინანდელი გამოსვლისას თქვენ ბრძანეთ, რომ არც მსოფლიო და არც თქვენ არ დაეთანხმებით უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობას, რომლის ერთადერთი შედეგი იქნება მხოლოდ უკვე მიღწეულ შეთანხმებათა ხელმოწერა. თუ იმით ვიმსჯელებთ, რაც თქვენ თქვით, მოხდა მხოლოდ ეს — ხელი მოაწერეთ საშუალო სიმორის რაკეტების ხელშეკრულებას. თქვენ უარყოფითი პასუხი მიიღეთ დერეფნთან დაკავშირებით, თქვენ ვერ მორიგდით გამოცდის აკრძალვის თაობაზე, იბადება კითხვა — თქვენ იმედგაცრუებული ბართ? იქნებ ჩვენც იმედგაცრუებულნი უნდა ვიყოთ.

პასუხი: აღარ მინდა გავიმეორო ჩემი შესავალი სიტყვა, სადაც ვრცლად შევეფასე ვიზიტის შედეგები. მეტს ადარაფერს დავძენ.

კითხვა: დაახლოვდნენ თუ არა მხარეები იმ საკითხზე, თუ როგორი იქნება რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულების შესრულების დათქმული ვადა? თუ სწორად გაგიგეთ, უამორიგებოდ საბჭოთა კავშირი ვერ განახორციელებს ვერავითარ სხვა მორიგებებს სტრატეგიულ რაკეტებთან დაკავშირებით, არა?

პასუხი: ჩვენ მივეცით დავალება ჩვენს დელეგაციებს, და ისინი განაგრძობენ მოლაპარაკებას ჟენევაში. ახლა არ მინდა მოვაყვე ამ პრობლემის მთელი კონკრეტიკის გაშუქებას.

კითხვა: თქვენ ყოველთვის ამბობდით, რომ უმთავრესია თაოდან ავიცილოთ გამალებული შეიარაღების გავრცელება კოსმოსზე. ხომ არ გაუხდია ეს თქვენს დღევანდელ, ამკვირანდელ შეხვედრებს ხაკლებ შესაძლებელი?

პასუხი: არა მგონია. ახლაც ვადასტურებ, რომ ჩვენი პოლიტიკის მიზანი უცვლელია — არ დავუშვათ გამალებული შეიარაღების გადატანა კოსმოსში.

ПАРТИЮЛИ ЦХОВРЕБА

უნდა გამოიკვეთოს პარტბიუროს როლი

რამდენიმე დღეც და, ისტორიის კუთვნილება გახდება მეთორმეტე ხუთწლედის პირველი ორი წელი. რა და როგორ გაკეთდა დროის ამ მონაკვეთში სკკპ XXVII ყრილობისა და პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების სახელმძღვანელო გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, რა არის საჭირო ჩვენი ცხოვრებისა და საქმიანობის ნებისმიერ სფეროში მიმდინარე ეშმაკურად რევოლუციური გარდაქმნებისა და დაჩქარების კურსის განუხრელი გატარების, არსებულ ნაკლოვანებათა უთუო და ოპერატიული გამოსწორების, ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში კომუნისტთა როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებისათვის? — აი, ძირითადად ამ საკითხებზე მსჯელობენ რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარე პარტიული კრებების მონაწილეები; რომლებიც ისმენენ პარტიული ბიუროებისა და კომიტეტების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ.

სწორედ ამ საკითხებს დაეთმო განსაკუთრებული ყურადღება სოხუმის საზღვაო ნავსადგურის პარტორგანიზაციის საანგარიშო კრებაზეც, რომელზეც მოხსენება გააკეთა პარტბიუროს მდივანმა დ. ხინდოდავამ.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ სოხუმელ მეზღვაურებს მიმდინარე საიუბილეო წელს ცუდად არ უმუშავიათ — კონსტიტუციის დღეს, 7 ოქტომბერს უპატაკეს ხუთწლედის ორი წლის გეგმის შესრულება. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ორი წლის გეგმები ისეთი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა ტვირთის გადამუშავება და გადატანა, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და მოგების დავალებები. კომუნისტთა ინიციატივით ყველა უბანზე მიმდინარეობს მუშაობა საობობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიისა და წარმოებაში ახალი ტექნიკის დანერგვისათვის. მიმდინარე წლის მხოლოდ 10 თვეში შემოვიდა 46 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან ოცდათექვსმეტის დანერგვამ ნავსადგურს 58,5 ათასი მანეთის მოგება მისცა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ამაში დიდია აქაური კომუნისტების და პარტბიუროს როლი.

ასე რომ თუმცა წარმატებები არის, მაგრამ კრების მონაწილეები არ დასჯერდნენ მიღწეულს. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ახლებურად მუშაობისათვის ეს არ კმარა, და რომ რაც მთავარია, კოლექტივის საქმიანობაში კვლავაც არის სერიოზული ნაკლოვანებები. ამიტომაც მათ მოითხოვეს მიხლობილი საქმისადმი ყოველი კომუნისტის პასუხისმგებლობის ამაღლება, პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გააქტიურება იმისათვის, რომ არ იყოს შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის დარღვევის, ფულადი და მატერიალური დანაკარგების, არსებული რეზერვების გამოუყენებლობის ფაქტები.

ერთ-ერთი ასეთი რეზერვის თაობაზე გულისტკივილით ილაპარაკა ნავსადგურის ფლოტის უფროსმა გ. ფარცვანიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ საექსკურსიო ბიუროსთან შეუთანხმებელი მუშაობის გამო სათანადოდ ვერ იყენებენ საექსკურსიო გემებს, რის შედეგადაც მგზავრთა გადაყვანის გეგმა ვერ შესრულდა და 29 ათას მანეთზე მეტი დაიკარგა. მანვე აღნიშნა, რომ ნავსადგურის ცალკეულ ქვედანაყოფებში არის ლოთობისა და სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. და მით უფრო ცუდია, ითქვა კრებაზე, რომ ასეთ ნეგატიურ მოვლენებში ხშირად თვით კომუნისტებიც არიან გარეული. მაგალითად, ლოთობისათვის შარშან პარტიიდან გაიჩინა კომუნისტი მუშა ვ. უმანსკი, ხოლო გემის კაპიტანს, კომუნისტ ვ. მანიუშკინს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. მაგრამ ასეთი ზომები მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა მეორე გემის კაპიტნის კომუნისტ ვ. ბუნჩინკოსათვის, რომელმაც უხეშად დაარღვია საზღვაო ფლოტში სამსახურის წესდება და სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა. ეს ფაქტიც ამასწინათ განიხილა პარტიულმა კრებამ და ვ. ბუნჩინკოს გამოუცხადა სასტიკი საყვედური ალაღრიცხვო ბარათში შეტანით.

კამათის მონაწილეებმა, ნავსადგურის მთავარმა ინჟინერმა ა. ლაგოდამ, საგეგმო განყოფილების უფროსმა ა. ჩოხანმა, ნავსადგურის უფროსის მოადგილემ ექსპლოატაციის დარგში მ. ცეკვავამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მჭიდრო კავშირი პარტიულ ორგანიზაციასა და შრომითი ქვედანაყოფების მიერ არჩეულ აქტივს შორის. საამქრო პარტიულ ორგანიზაციასა და პარტიულ ჯგუფებში სათანადოდ არ იგრძნობა გარდაქმნა, რაც საგრძნობლად აფერხებს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გადახალისებას.

გარდაქმნის მსვლელობის შეფაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ის არის, ითქვა კრებაზე, რომ ნავსადგურისა და მისი ქვედანაყოფების ზოგიერთ არაკომპეტენტურ ხელმძღვანელს არ სურს ან არ შეუძლია ახლებურად იმუშაოს. ამიტომაც აქ ცოტა როდია ამ დიდი კოლექტივისათვის ჯერ კიდევ გადაუჭრელი ძნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალურ-კულტურული საკითხები. ამით აიხსნება, რომ დღემდე თითქმის არაფერი კეთდება ადრე დასახული ისეთი კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, როგორიცაა ნავსადგურის სახელოსნოებში სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ბლოკის, სამშენებლო ბაზის განვითარება, იახტკლუბის რეკონსტრუქცია, 92-ბინიანი კოოპერატიული სახლისა და 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ორგანიზაცია.

კრება ძირითადად საქმიანად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ჩატარდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი ნაკლი, რომელიც ერთობ ხელშესახებად შეიმჩნეოდა სოხუმელ კომუნისტს მეზღვაურთა შეკრებაზე, საქმე ის არის, რომ მისმა მონაწილეებმა საქმიანად ისაუბრეს მხოლოდ საწარმოო პრობლემებზე, ხოლო ის თუ როგორ მუშაობდა პარტბიურო, როგორი იყო მისი საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები, როგორ ხელმძღვანელობდა იგი გარდაქმნის პროცესს, მხოლოდ გაკვრით აღნიშნეს. არადა, პარტიულ კრებაზე მთავარი ყურადღება ხომ სწორედ ამ საკითხებს უნდა დათმობოდა. სხვანაირად უბრალოდ შეუძლებელია ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების დროული გამოვლენა-შეფასება და მათი გამოსწორების კონკრეტული გზების დასახვა. ამას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ი. გოგბეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“

დადგეგი წლის იანვარში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ფართო სკა-ბაასი უნდა გაიმართოს: როგორ მიმდინარეობს გარდაქმნა ადგილებზე? რას მივაღწიეთ განვლილ პერიოდში და როგორ? რა გვაშლის ხელს იმისათვის, რომ უფრო რეალური იყოს ჩვენი ძალისხმევის შედეგები? პრობლემათა სპექტრი ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს მოიცავს.

რედაქციაში ყოველდღე მოდის წერილები. მათი ავტორები აყენებენ სხვადასხვა პრობლემას, რომლებზეც, მათი აზრით, სასურველი იქნებოდა ყურადღების გამახვილება პლენუმზე.

საჭიროა უფრო საგნობრივი მიდგომა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე, ცხადია, ყურადღება გამახვილდება სახელმეკრულებო დისციპლინაზე. ჩემი აზრით, მკაცრად უნდა დაისაჯონ ის მომწოდებელი საწარმოების ხელმძღვანელები, რომლებიც სახელშეკრულებო დისციპლინას დაარღვევენ. ჩვენს საწარმოს ბორჯომის ჩამოსასხმელი ქარხნიდან მიმდინარე წლის 11 თვეში 22 ტონა ნახშირმჟავა გაზი უნდა მიეღო, მივიღეთ კი 11,4 ტონა, გაერთიანება „საქაგრომრეწტარას“ ჩვენთვის უნდა მოეწოდებინა სასმელი „ბზიურის“ და „ელექტრო“ ლიმონათის 300-300-ათასი ცალი ეტიკეტი. დღემდე მოლოდინში ვართ. მომხმარებელ ამის გამო დიდძალი სასურველი ასორტიმენტის პროდუქცია დავაკელით.

საერთოდ, ვფიქრობ, მიწოდების პრობლემა იმდენად რთული არ არის, რამდენიც ხმაურია მის გარშემო ატეხილი. მეტი გულისყური და პასუხისმგებლობაა საჭირო. პარტიის მიერ დასახულ გარდაქმნის კურსს ადგილებზე უფრო საგნობრივი მიდგომა სჭირდება. სხვაგვარად მუშაობა წარმოუდგენელია.

ნ. ფულარიანი,
მაიაკოვსკის რაიონის საირმის მინერალური წყლების ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

პრაქტიკული დახმარება — ზოგადი მითითებების ნაცვლად

ახლა, როცა გარდაქმნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის საგანგებო მსჯელობის საგანი ხდება, უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი დახმარება-ხელმძღვანელობის ფორმებს და მეთოდებს, საერთოდ, მათდამი ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესებას და დახვეწას. ეს ყოველივე პარტიის დღეკანდელი კურსის შესატყვისად უნდა გარდაიქმნას. არსებითად უნდა გაუმჯობესდეს, მაგალითად, პარტიული აპარატების ინსტრუქტორთა სამქმიანობა. ხომ ფაქტია, რომ ინსტრუქტაჟი გარდაქმნის შესახებ უმეტესწილად ვერ სცილდება ზოგად მითითებებს და მოკლოთობისა და სამუშაოს უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. და მით უფრო ცუდია, ითქვა კრებაზე, რომ ასეთ ნეგატიურ მოვლენებში ხშირად თვით კომუნისტებიც არიან გარეული. მაგალითად, ლოთობისათვის შარშან პარტიიდან გაიჩინა კომუნისტი მუშა ვ. უმანსკი, ხოლო გემის კაპიტანს, კომუნისტ ვ. მანიუშკინს გამოეცხადა სასტიკი საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით. მაგრამ ასეთი ზომები მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა მეორე გემის კაპიტნის კომუნისტ ვ. ბუნჩინკოსათვის, რომელმაც უხეშად დაარღვია საზღვაო ფლოტში სამსახურის წესდება და სამუშაოზე მთვრალი გამოცხადდა. ეს ფაქტიც ამასწინათ განიხილა პარტიულმა კრებამ და ვ. ბუნჩინკოს გამოუცხადა სასტიკი საყვედური ალაღრიცხვო ბარათში შეტანით.

კამათის მონაწილეებმა, ნავსადგურის მთავარმა ინჟინერმა ა. ლაგოდამ, საგეგმო განყოფილების უფროსმა ა. ჩოხანმა, ნავსადგურის უფროსის მოადგილემ ექსპლოატაციის დარგში მ. ცეკვავამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ არ არის დამყარებული მჭიდრო კავშირი პარტიულ ორგანიზაციასა და შრომითი ქვედანაყოფების მიერ არჩეულ აქტივს შორის. საამქრო პარტიულ ორგანიზაციასა და პარტიულ ჯგუფებში სათანადოდ არ იგრძნობა გარდაქმნა, რაც საგრძნობლად აფერხებს ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების გადახალისებას.

გარდაქმნის მსვლელობის შეფაფერხებელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ის არის, ითქვა კრებაზე, რომ ნავსადგურისა და მისი ქვედანაყოფების ზოგიერთ არაკომპეტენტურ ხელმძღვანელს არ სურს ან არ შეუძლია ახლებურად იმუშაოს. ამიტომაც აქ ცოტა როდია ამ დიდი კოლექტივისათვის ჯერ კიდევ გადაუჭრელი ძნიშვნელოვანი საწარმოო და სოციალურ-კულტურული საკითხები. ამით აიხსნება, რომ დღემდე თითქმის არაფერი კეთდება ადრე დასახული ისეთი კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად, როგორიცაა ნავსადგურის სახელოსნოებში სანიტარიულ-საყოფაცხოვრებო ბლოკის, სამშენებლო ბაზის განვითარება, იახტკლუბის რეკონსტრუქცია, 92-ბინიანი კოოპერატიული სახლისა და 306-ადგილიანი საერთო საცხოვრებლის მშენებლობის ორგანიზაცია.

კრება ძირითადად საქმიანად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ჩატარდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ერთი მთავარი ნაკლი, რომელიც ერთობ ხელშესახებად შეიმჩნეოდა სოხუმელ კომუნისტს მეზღვაურთა შეკრებაზე, საქმე ის არის, რომ მისმა მონაწილეებმა საქმიანად ისაუბრეს მხოლოდ საწარმოო პრობლემებზე, ხოლო ის თუ როგორ მუშაობდა პარტბიურო, როგორი იყო მისი საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები, როგორ ხელმძღვანელობდა იგი გარდაქმნის პროცესს, მხოლოდ გაკვრით აღნიშნეს. არადა, პარტიულ კრებაზე მთავარი ყურადღება ხომ სწორედ ამ საკითხებს უნდა დათმობოდა. სხვანაირად უბრალოდ შეუძლებელია ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებების დროული გამოვლენა-შეფასება და მათი გამოსწორების კონკრეტული გზების დასახვა. ამას მომავალში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

**ი. გოგბე

ხსოვნა

მოქალაქე

ვეთხოვებით შესანიშნავ ადამიანს, მოქალაქეს, მეცნიერს, მოღვაწეს დავით ჩხიკვიშვილს. სამუდამოდ დაგვშორდა საიმედო, ერთგული მეგობარი, საკეთით აღსავსე კაცი, დინჯი და აუჩქარებელი, თავშეკავებული და თავმდაბალი.

ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლას მუდმივ ახლავს ღრმა გულისტკივილი, ნაღველი, სინანული... სინანული იმ მთავარი სათქმელის ვერმოსწერების გამო, რომლის თქმასაც ადამიანისთვის სიცოცხლეში როგორღაც ვერ ვახერხებთ ხოლმე. მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ ადამიანთან დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს. ასეთი ნაღველი და სინანული კი განსაკუთრებით მწვავე და გულსაკლავია, როდესაც სამუდამოდ გვშორდება ნათელი პიროვნება და საზოგადოებრივი მიზანსწრაფვით გამსჭვალული მთლიანი პიროვნება, რომლის ცხოვრებაც ურთულესი კატაკლიზმების ძლევისა და მაინც სულიერი სინათლისა და სიბლის შენარჩუნების ნათელითაა განსხვავებული.

სწორედ ასეთი სიცოცხლით იცხოვრა დავით ჩხიკვიშვილმა — კომუნისტმა, მეომარმა, მეცნიერმა, მოღვაწემ, ინტელიგენტმა...

დავითმა ცხოვრების რთული გზა განვლო. ჯერ კიდევ ჭაბუკმა გამოსცადა სამამულო ომის ქარტეხილი და თავი გამოიჩინა, როგორც სამშობლოს თავგანწირულმა დამცველმა.

დავითის ბიოგრაფიას ამასთანავე ამკობს მისი ცხოვრების ომის შემდეგდროინდელი ღრმა შინაარსით აღსავსე ეპიზოდები, დავითი — საზოგადო მოღვაწე, პარტიული მუშაკი, მეცნიერების ორგანიზატორი... მის სახელთან დაკავშირებული არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი წამოწყება და თაოსნობა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში, შეუნელებელი ზრუნვა ახალი მეცნიერული თაობის წრთობა-დაჯაჭაჭებისათვის, ახალი სულისკვეთებით აღზრდა-განვითარებისათვის.

დავით ჩხიკვიშვილი ახალგაზდობის ჭეშმარიტი აღმზრდელი და მეგობარი იყო. სტუდენტობასთან ურთიერთობაში იგი უალერსად პირდაპირი და მართალი გახლდათ. იგი ყოველთვის და ყველგან იყო ახალთაობის ინტერესების გამზიარებელი და გულწრფელი მხარდამჭერი. ასევითვე დიდი სიყვარულით და პატივისცემით იყო გამსჭვალული მისადმი ჩვენი ახალგაზრდობა.

ადამიანის გარდაცვალება იწვევს სინანულს და კიდევ — რაღაცნაირ ხსოვნად სახწაულებრივ გარდასახვას. ნათელი პიროვნების ხსოვნა მისი სიცოცხლის, მისი ნაღვაწის ნათლით იმოსება. ამ ნათლის ბრწყინვალეებაა სიკვდილის ძლევა, რაც ჭეშმარიტი მამულიშვილისა და პიროვნების ხვედრია. სწორედ ამგვარი ნათელი გვრჩება დავით ჩხიკვიშვილის ხსოვნის ნიშნად.

ირაკლი აბაშიძე,
შოთა ძიძიგური.

სიცოცხლის ბოლო წლებში დავით ჩხიკვიშვილმა მკითხველთა საზოგადოებრიობას მიაწოდა სამამულო ომის თემატიკიდან შესანიშნავი მოგონება-ჩანაწერები. მკითხველებს ვთავაზობთ დ. ჩხიკვიშვილის ერთ მოგონებას.

დედის ხელით შეკერილი პერანგი

დავით ჩხიკვიშვილი

ცხრაასორმოცდაერთი წლის მაისში ორი კვირით შვებულება მომცეს. სმოლენსკიდან, სადაც საავიაციო ნაწილში საკალდებულო სამხედრო სამსახურს გავდიოდი, მატარებლით მოსკოვში ჩავედი, ღამე მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში გავათიე. ჯარში გაწვევამდე აქ ვსწავლობდი და ძველმა მეგობრებმა შემოკედლეს.

დილით ინსტიტუტში მივედი. ვღელავდი. სევდიანი გრძნობა დამეუფლა. სწავლის წყურვილი გამეღვიძა. გამახსენდა 1939 წლის ნოემბერი, როცა მოსკოვიდან ოცდაათი ათასი სტუდენტი სამხედრო სასწავლებლებში შეკედით — ქვეყანა თავის თავდაცვისუნარიანობას აძლიერებდა ფაშისტური გერმანიის აგრესიული პოლიტიკის საპასუხოდ.

ინსტიტუტში სიხარულით შემხვდნენ, დეკანმა ინსტიტუტის რექტორთანაც კი მიმიყვანა.

სადგურზე ამხანაგებმა გამაცილეს.

მეოთხე დღეს ბათუმში ვიყავი.

ოჯახურ გარემოში საოცარი სულიერი სიმშვიდე ვიგრძენი. დედამ საგანგებოდ ერთი კვირით შვებულება აიღო, რომ ჩემთან ყოფილიყო.

ერთმა კვირამ ჩქარა გაირბინა. უკან უნდა დავბრუნებულიყავი. მშობლები ღელავდნენ. მძიმე დრო იყო. გერმანიას მთელი ევროპა დაპყრობილი ჰქონდა. ხმამაღლა არავინ ლაპარაკობდა, მაგრამ ყველა გრძნობდა, რომ ომი გერმანიასთან გარდუვალი იყო.

გაცილების ჟამს სადგურში დედამ მოზრდილი ჩემოდანი გადმომიცა.

— ამაში პატარ-პატარა საჩუქრებია შენი მეგობრებისათვის, ჩემი სახელით გადაეცი! — მითხრა მან, — შენთვის კი ჩემი ხელით შეკერილი უბრალო წითელი ფერის პერანგია. დროდადრო ჩაიცვი, არ დაგავიწყდები...

დედის შეკერილი პერანგი.... მასში, ალბათ, მთელი მისი სითბო და იმედები იყო ჩაქსოვილი. მე ადვილად წარმოვიდგინე, თუ რამდენი იფიქრა მან ამ საჩუქარზე, იგი მას როგორც დედის ჯავშანს, ისე მატანდა.

თბილისამდე მამამ გამაცილა. შემდეგ კი მე თვითონ განვაგრძე გზა.

მატარებელში ჩემოდანი გავხსენი და პერანგი ამოვიღე. იგი მოკლე სახელოებიანი აღმოჩნდა და თანაც საკმაოდ ულამაზო. ეს არც კი გამკვირვებია. დედაჩემი, ძველი გამოცდილი პედაგოგი, პარტიის წევრი ცხრაასჩვიდმეტი წლიდან, რომელსაც საკმაო განათლება ჰქონდა მიღებული, კერვაში მაინცდამაინც დახელოვნებული არ იყო. პერანგს იგი, ალბათ, სიმბოლურ მნიშვნელობას უფრო ანიჭებდა, ვიდრე პრაქტიკულს და მის სილამაზეზე არ უზრუნია.

გაკვირვებას იწვევდა მხოლოდ პერანგის ფერი. ვერ ამეხსნა, რატომ წითელი და არა თეთრი მიტკლიდან შეკერა იგი დედამ...

საოცარი აქ ისაა, რომ დედამ ეს „საიდუმლოება" სამარეში ჩაიტანა. ომის შემდეგ რამდენჯერ საგანგებოდ ვკითხე მას ამის თაობაზე, მაგრამ დუმილი არჩია.

— მთავარია, რომ სახლში დამიბრუნდი, შვილო, დედის გული გაახარე, ფერს აქ რა მნიშვნელობა აქვს, — მეტყოდა იგი.

სამხედრო ნაწილში დავბრუნდი. კვლავ შევუდექი დამქანცავ და მძიმე სასწავლო ფრენებს.

ამ ხნის განმავლობაში დედის შეკერილი პერანგი ერთხელაც კი არ ჩამიცვამს. იგი კარადაში იდო, ხანდახან მხოლოდ ხელს შევავლებდი, რომ დედის გულისცემა მეგრძნო.

დედის შეკერილ პერანგს არამცთუ არ ვიცვამდი, მის არსებობასაც კი საგანგებოდ ვმალავდი, რომ მეგობრების ყბაში არ ჩავვარდნილიყავი, არ ეთქვათ, „ეი შენ, წითელპერანგაო!", ან კიდევ „სოფლელი არიფია ეს ყმაწვილი, წითელი პერანგით დადისო".

ომი მოულოდნელად დაიწყო. პირველ დღესვე მომიხდა გაფრენა ვარშავის დასაბომბად. სულ რაღაც ხუთი დღის განმავლობაში ათიოდე სამხედრო გაფრენაში მივიღე მონაწილეობა. ფაშისტების სამი თვითმფრინავი ჩამოვაგდე.

მალე ჩემი ჯერიც დადგა. „მესერშმიტებმა" ჩამოაგდეს ჩვენი თვითმფრინავი. ფეხში მძიმედ დამჭრეს, მხოლოდ რაღაც ბედნიერმა შემთხვევამ სიკვდილს გადამარჩინა.

ერთ-ერთი ქალაქის აეროდრომზე ჩვენი ნაწილის სამხედრო პოსპიტალში ვიწექი, როცა დედის წერილი მივიღე. დედა მწერდა (მომყავს უცვლელად):

... ამ წარღვნის ჟამს ჩვენ დედა-შვილობას უფრო მეტად უბმობს მამა-პაპათა ქველთაძველი ტრადიციები — ვერაგი მტრის წინააღმდეგ მამაცური ბრძოლა. ასეთ რამეს იმიტომ კი არ შეგახსენებ, რომ შენი გაბედულებისა და საბოლოო უნებლობის ეჭვი მაწუხებს, შვილო! თუ კაცი მამაცი არ არის, მაგრე ზუსტად გასროლა შეუძლებელია. მე დედა ვარ და გასაგებია, რომ შენს ამ საქვეყნო წარმატებებს — „მითიური" მესერშმიტის ჩამოგდებას საკუთარი სიცოცხლის ყველაზე ბედნიერ მოვლენად განვიცდი. ჩემი ცრემლებით კი, რომელიც ახლა ამ მელახს შეერია, ისტორიის გამოძახილივით ვამაყობ და გლოცავ, შვილო! შენ ჩვენი მიწის კარგი ძე გამოდექი და ზეცაშიაც არ მინდა მოგაკლო დედის ალერსი. ქედუხრელობას არც მანდ აწყენს, ბიჭო, ჩემი მოფერება. ამ წერილში შენ კარგად ამოიკითხავ ჩემი სულის განწყობას, ენდობი მკაცრი ცხოვრების ცეცხლით გამოწრთობილ დედის გულს, რომელიც ახლა შენი უშიშარი ფრენის სიმაღლეს უტოლდება. ჩემი წარსულის პატრონს დაუფიცებლადაც დამიჯერებ, რომ თავისუფლების ერთი ნაპერწკალი მთელ დაჩოქილ საუკუნეს მირჩევნია, მაგრამ ჩვენი დიდი იღბალი, რომ საშენო ტყვიას მტერი ვერ გამოჭედს!... ეს საიდუმლოებით მოცული წინათგრძნობა, დამოკო, ბიჭო, შენი მფარველი ანგელოზივით ცოცხლობს დედამენის გულში. იგი ალბათ, ჩემი მძიმე წარსულის მართებული ხვედრია. იატაკქვეშეთში მტრის მიერ მოყენებული ტკივილების სამაგიერო ხარკია... მეხსენებათვის კი ის მინდა გითხრა, რომ თავგანწირვის გაიაფება, თვითმიზნად გადაქცევა, რაც ზოგ მეომარს ემართება, ამცირებს სიკვდილზე გამარჯვების ძალას, სიცოცხლის ღირებულებას. მართალია, გმირულად დაცემულს, უცნობიც რომ იყოს, მაინც დიდი უფლება რჩება, მაგრამ მტერზე გამარჯვების დღესასწაულს თვით გმირის პირადი დასწრება განა ყველაზე მეტად არ დაამშვენებს? განა გმირობისა და ვაჟკაცობის დადასტურება საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად შეუწირავად შეუძლებელია?!".

ახლაც კი, ორმოცდახამი წლის შემდეგ, როცა დედის ამ წერილს კითხულობ, თვალები ცრემლებით მევსება. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა განდები გამოიწვია მან მაშინ ჩემს გულში... წერილს, რომელსაც დედის ცრემლი შერეოდა, ჩემიც დაემატა.

ექთანს ვთხოვე და მან ჩემი სამხედრო ხელჩანთა მომიტანა. იქიდან დედის შეკერილი პერანგი ამოვიღე და ჩავიცვი. ტანში სითბო ვიგრძენი, ეს დედის სითბო, მისი ალერსი იყო.

საღამოს მთავარი ექიმი მოვიდა და წითელ პერანგში რომ მნახა, ისეთი ყვირილი ატეხა, მთელი ჰოსპიტალი ფეხზე დადგა.

— ეს რა ცირკის ჯამბაზივით გამოწყობილხარ, ახლავე გაიხადე და ჰოსპიტალის საცვალი ჩაიცვი, — ყვიროდა იგი.

მე უარი განვაცხადე. მაშინ მან პოლკის მეთაურს ალექსანდრე გოლოვანოვს დაურეკა და რაღაც უბედურებას მოუყვა ჩემზე.

კარგად მომესმა ტელეფონში გოლოვანოვის პასუხი.

— თქვენ, როგორც ჩანს მოცლილი ხართ, რაც უნდა ჩაიცვას, მთავარია სასწრაფოდ განკურნეთ, მფრინავები მჭირდება.

ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ აქედან დაწყებული, ვიდრე ომი არ დამთავრდა — ოთხი წლის განმავლობაში დედის შეკერილი პერანგი არ გამიხდია. ეს ჩემი ბედნიერება იყო, რადგან ჩემთან ერთად ლხინში თუ გასაჭირში, ბრძოლაში თუ შრომაში დედის ხელს, დედის სითბოს ვგრძნობდი. მაგრამ იგი, ამავე დროს, უზარმაზარ ყოფითი ხასიათის სიძნელეებს მიჭმნდა.

— ნაწილი, რომელშიც მე ვმსახურობდი, 1941 წლის თებერვალში ჩამოყალიბდა, როგორც საგანგებო დანიშნულების ავიაპოლკი, რომელსაც ღამით უნდა ეფრინა და მტრის სტრატეგიული ცენტრები დაებომბა. ნავარაუდევი იყო, რომ შემდგომში ამ პოლკის ბაზაზე შეიქმნებოდა დამოუკიდებელი შორსმფრენი სტრატეგიული დანიშნულების ავიაცია.

პოლკს სათავეში ჩაუყენეს ცნობილი მფრინავი ალექსანდრე გოლოვანოვი, რომელსაც სტალინი პირადად იცნობდა:

ომი მოულოდნელად დაიწყო. ჩვენი ჯარები უკან იხევდნენ. პოლკმა ომის მხოლოდ პირველ დღეს შეასრულა თავისი ძირითადი ამოცანა — დაბომბა სამხედრო ქარხნები ვარშავის რაიონში. შემდგომ შექმნილი მდგომარეობის გამო, პოლკი ტაქტიკური ამოცანების შესრულებაზე გადაიყვანეს და აქ ბევრი რამ გააკეთა.

მაგრამ, როცა გერმანელების წინსვლა შეაჩერეს მოსკოვის მისადგომებთან, ჩვენი პოლკი ბრძოლის ველიდან გამოიყვანეს, ამ პერიოდში დაიწყო შორსმფრენი ავიაციის ორგანიზაცია.

ჩვენი პოლკის ბაზაზე შეიქმნა შორსმფრენი საავიაციო დივიზია. იგი შეაიარაღეს კოსტრუქტორ პეტლიაკოვის სრულიად ახალი ოთხმოტორიანი თვითმფრინავებით, „ТБ-7".

ეს იყო მძლავრი, შორს და სწრაფად მფრენი თვითმფრინავები, რომელთაც 12-13 საათი დაუჯდომლად ფრენა შეეძლოთ.

1942 წლის გაზაფხულზე, მოსკოვის მახლობლად გავიჩინეთ აეროდრომი და ჩვენმა 45-ე ავიადივიზიამ დაიწყო ღამით მტრის სამხედრო ობიექტების დაბომბვა. დივიზია წარმატებით ანადგურებდა რკინიგზის საკვანძო სადგურებს, მტრის ეშელონებსა და სამხედრო ნაწილებს.

როდესაც რაიხის ჯარებმა შეძლეს სტალინგრადის ახლო მისადგომებთან მისვლა, ფაშისტური პროპაგანდა შეუდგა იმის მტკიცებას, რომ საბჭოთა არმია განადგურდა და მას უკვე არ გააჩნია საავიაციო ნაწილები. საჭიროო შეიქმნა ამ მონაჩმახის უარყოფა. უმაღლესი მთავარსარდლის გადაწყვეტილებით, ჩვენი ავიაცია შეუდგა გერმანიის სტრატეგიული ცენტრების: ბერლინის, დანციგის, კენიგსბერგისა და სხვა ქალაქების დაბომბვას. 19 აგვისტოს ჩვენი ავიაციის ასამდე თვითმფრინავი ერთდროულად თავს დაესხა ბერლინს, დანციგსა და კენიგსბერგს.

ბერლინი, ალბათ, ძალიან ადვილად ეგონა ფაშისტებს, ალბათ, ეგონა, ეს ჩვენ ვერ ავიტანეთ, ეს ჩვენ ვერ ავიტანეთ, ეს ჩვენ ვერ ავიტანეთ... ეს ჩვენ ვერ ავიტანეთ... ეს ჩვენ ვერ ავიტანეთ...